პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ტრანსიმპექსისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ტრანსიმპექსისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212678538) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა №8-10-ის დასავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილს (ფართობი: 36.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.629) 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

**მუხლი 2.** ქონების სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ-ზე შეადგენს 35 ლარს, სულ ჯამში: 1260 (ათას ორას სამოცი) ლარს.

**მუხლი 3.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 4.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის
ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ტრანსიმპექსისათვის"
სარგებლობაში გადაცემის
თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის
მიცემის შესახებ"
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,ტრანსიმპექსის" დირექტორის განცხადება, რომელიც შეეხება 2013 წლის 5 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების შეცვლას.

,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ტრანსიმპექსისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 31 დეკემბრის №1521 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 15 იანვარს გაფორმებული იქნა ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №5 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად შპს ,,ტრანსიმპექსს" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 10 (ათი) წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის მოედანზე მდებარე ტროტუარის ნაწილი, ფართობით 36.0 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 03.03.21.045). ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტი ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის მოედანზე მდებარე ტროტუარზე (საკადასტრო კოდი 03.03.21.045).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ტრანსიმპექსისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212678538) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩა №8-10-ის დასავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 36.0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.629) 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

ასევე, ქონების სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1 კვ.მ-ზე შეადგენს 35 ლარს, სულ ჯამში: 1260 (ათას ორას სამოცი) ლარს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ტრანსიმპექსისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი